## ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

ქ. ვანი 11. თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.
გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.
ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.
დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, წევრი.
ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.
მარინა ღვინიანიძე–ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი , აპარატის წევრი–მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტების:*

- *ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე ცენტრალური სტადიონის წინ სკვერის მოწყობა*
- *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის შესასვლელის სკვერის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა*
- *შუამთის თემის ცენტრში ტერიტორიის კეთილმოწყობა*
- *ვანის ცენტრალური სტადიონის კაპიტალური რემონტის მეორე ეტაპი*
- *რაგბის სტადიონის მოწყობის პირველი ეტაპი*
- *გორას თემში საბავშვო ბაღის მშენებლობა.*
- *ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სანიტარული კვანძებისა და მცირე რემონტის სამუშაოები*

*საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის (უ/ნ 1455 28.01..2015წ.) შედეგების განხილვა.*

*მოისმინეს:* საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის გამოსვლა, რომელმაც კომისიას აცნობა, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის

04.02.2015წ. 15:00 სთ) კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა:

1. შპს „არქსერვისი–2008"
2. შპს „ჯეო–როუდ"

განიხილეს: კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტების გახსნის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შპს „არქსერვისი–2008"-მ მიიღო - 39,2 ქულა.

შპს „ჯეო–როუდ"–მა მიიღო -35,2 ქულა

დაადგინეს:

1) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (უ/ნ 1455 28.01.2015წ.) გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „არქსერვისი"- 2008"
2) დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიენიჭოს სტატუსი - გამარჯვებული გამოვლენილია.
3) საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე